13/02/2025

პიუხტიცკის მონასტრის დებმა ესტონეთის პარლამენტს მიმართეს ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ კანონში შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით

პიუხტიცკის დედათა მონასტრის ვებგვერდზე განთავსებულია იღუმენია ფილარეტას (კალაჩევა) და მონასტრის დების ღია წერილის ტექსტი ესტონეთის რესპუბლიკის პარლამენტისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის გზით ხდება მონასტრის იძულება, შეიცვალოს იურისდიქცია ან მოხდეს მისი ლიკვიდაცია. წერილში ნათქვამია:

პატივცემულო მინისტრებო, პატივცემულო პარლამენტის თავმჯდომარევ,

პატივცემულო პარლამენტის წევრებო!

მოგმართავთ თქვენ ესტონეთის რესპუბლიკის ეკლესიებისა და სამრევლოების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის წაკითხვის შემდეგ.

ჩვენთვის გასაგებია კანონპროექტის მიზანი – აიძულონ მოსკოვის საპატრიარქოს ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესია, შეიცვალოს იურისდიქცია და გადავიდეს კონსტანტინოპოლის მფარველობის ქვეშ. ჩვენი არაერთგზის ახსნა-განმარტებები, რომ მონასტერს არ შეუძლია თვითნებურად წამოიწყოს და უარი თქვას იურისდიქციაზე, შეუსმენელი დარჩა.

დოკუმენტის იურიდიულ მხარეს ამუშავებენ ადვოკატები. ჩვენ, უბრალო მონაზვნებს, არასდროს გვიცბიერია მთავრობასთან მიმართებით, და ახლაც იგივეს გეუბნებით თქვენც და საზოგადოებასაც – ჩვენ ჩვენს პოზიციაში პატიოსნები ვართ როგორც ღმერთის, ისე ხალხის წინაშე.

90-იან წლებში მონასტერმა უკომპრომისოდ და პრეტენზიის გარეშე უარი თქვა მთელს თავის ქონებაზე და ყველაფერი სახელმწიფოს გადასცა, ოღონდაც სულიერი კავშირი შეენარჩუნებინა დედა-ეკლესიასთან. ჩვენ ყოველთვის ვასრულებთ იმ დროს დადებული ხელშეკრულების პირობებს.

ეჭვგარეშეა, მშვენივრად გესმით, რომ კანონში ცვლილებების დამტკიცებით, მონასტერს კანონგარეშე მდგომარეობაში აყენებთ, სთავაზობთ რა მას მხოლოდ ორ ვარიანტს: ან იურისდიქცია შეიცვალოს ან ლიკვიდაცია აიძულოთ – თქვენ კარგად გესმით, რომ საკუთარი ქმედებებით ფაქტობრივად მონასტერს ხურავთ. ნუთუ ნამდვილად გსურთ, რომ ისტორიაში შეხვიდეთ, როგორც პარლამენტარები, რომლებმაც ძალადობრივად შეწყვიტეს ესტონეთის მართლმადიდებელი დედათა მონასტრის ას წელზე მეტი ხნის არსებობა?

შეუძლებელია არ გაგიკვირდეს სახელმწიფოს პოზიცია, რომელიც არსებულ ვითარებაზე პასუხისმგებლობას აკისრებს მონასტრის ბინადრებს და გვაკისრებს პასუხისმგებლობას პოლიტიკოსების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ჩვენ დავტოვეთ წუთისოფელი, ჩვენ შორს ვართ პოლიტიკური პრობლემებისგან, ვცხოვრობთ პოლიტიკის გარეთ და ვემსახურებით ღმერთს ლოცვითა და შრომით, მაგრამ პირდაპირ გვითრევენ პოლიტიკაში და გვადანაშაულებენ, რომ არ გვინდა დიალოგი.

გვსურს, შეგახსენოთ ძველი აღთქმიდან მრავალვნებული იობის ისტორია, რომელიც მართალი ცხოვრებით ცხოვრობდა ღვთის წინაშე და უფალს უყვარდა იგი, მაგრამ კაცობრიობის მტერმა, შურით აღვსილმა, დაიწყო იმის ლაპარაკი, რომ იობი მართალი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთს უყვარდა და მას ყველაფერი მისცა. ხოლო თუ ის ყველაფერს დაკარგავდა, მაშინ ღმერთის გმობას დაიწყებდა. ამის პასუხად უფალმა ეშმაკს მისცა ძალაუფლება, რომ იობის წინაღმდეგ გაეკეთებინა რაც სურდა, ოღონდ იმ პირობით, რომ მის სულს არ უნდა შეხებოდა. სული მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. დაფიქრდით ამაზე...

კანონპროექტის ინიციატორები კანონიკური დანაშაულის ჩადენას გვაიძულებენ იმ მოტივით, რომ თითქოს მონასტრის დაცვას ცდილობენ პრობლემებისგან. ვუპასუხებთ ძველი ბრძენის, სოკრატეს სიტყვებით: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია“.

ჩვენს წმიდა და საყვარელ მონასტერთან დაკავშირებულ ყველა სიცრუეს, ჩვენ, ბინადარნი, მდაბლად ვპასუხობთ: ღმერთია თქვენი მსაჯული!..

პატივისცემით,

იღუმენია ფილარეტა დებთან ერთად

mospat.ru